საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.19.16.003.395**
განცხადების ნომერი: **882019548664**
მომზადების თარიღი: **11/07/2019**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **18027 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



05/25 მშენებარე ნაგებობა

05/25 შენობა/ნაგებობა

ტყის ფონდი

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ვალდებულება

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.19.16.003.395**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019548664 - 09/07/2019 10:25:29

მომზადების თარიღი
11/07/2019 15:32:23

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	სამგორი		
01	**19**	**16**	**003/395**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 108 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 8 , ნაკვეთი 03/041 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 108 , მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 18027.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.19.16.003.075;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1; N2; N3; N4; N5; N6; N7

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018959409 , თარიღი 05/11/2018 10:12:34
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/01/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N090512159 , დამოწმების თარიღი:15/09/2009 ,ნოტარიუსი ლ. ქამუშაძე
- ბრძანება N ბ-12/15104120-16 , დამოწმების თარიღი:27/05/2015 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბედამხელველობის საქალაქო სამსახური
- წერილი N67-01190042078 , დამოწმების თარიღი:04/01/2019 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N25419 , დამოწმების თარიღი:10/11/2017 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N25315 , დამოწმების თარიღი:27/10/2017 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- ბრძანება N ბ-19/0117101203-17 , დამოწმების თარიღი: 30/05/2017 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბედამხელველობის საქალაქო სამსახური

მესაკუთრეები:
შპს "შარავანდი", ID ნომერი:208190125

მესაკუთრე:
შპს "შარავანდი"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **892018182217** თარიღი **02/03/2018 15:57:53**	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "პროკრედიტ ბანკი"**204851197; **მესაკუთრე: შპს "შარავანდი"**208190125; საგანი:მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 18027.00 კვ.მ. მასზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **09/03/2018**	**იპოთეკის ხელშეკრულება N 110147-021, დამოწმების თარიღი12/06/2015, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** **(უფლების რეგ. ნომერი: 892018182217; თარიღი 02/03/2018) ცვლილება იპოთეკის ხელშეკრულებაში N 110147-021, დამოწმების თარიღი02/03/2018, სააქციო საზოგადოება "პროკრედიტ ბანკი"**

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015082827** თარიღი **17/02/2015 12:46:53**	**მეიჯარე: შპს "შარავანდი"**208190125; **მოიჯარე: შპს "დეკორი"** 203868635; საგანი:საერთო ფართი 1150 კვ.მ; საბოლოო თარიღი:31/12/2015;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **23/02/2015**	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი17/02/2015, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **902018042802** თარიღი **30/11/2018 15:32:34**	**მეიჯარე: შპს "შარავანდი"**208190125; **მოიჯარე: შპს "პოლიმერ პაკი"**405233037; საგანი: 250 კვ.მ. ფართი; საბოლოო თარიღი:01/12/2024;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **03/12/2018**	**უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი30/11/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **892018106111** თარიღი **08/02/2018 10:23:51**	**გამყიდველი: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი**204521794; **მყიდველი: შპს "შარავანდი"**208190125; საგანი: მიწის დაზუსტებული ფართობი 9.00 კვ.მ.; **საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N25315 , დამოწმების თარიღი:27/10/2017 , ქალაქ თბილისის მერიის სჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო,**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **08/02/2018**	**აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N E-372-1-21439, დამოწმების თარიღი12/09/2017, თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო** **სააგენტოს გადაწყვეტილება N QN1567564, დამოწმების თარიღი07/02/2018, თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

შპს ედესი ჯგუფის ს/კ: 203868635

(ყოფილი შპს დეკორი)

დირექტორი თამაზ შარიქაძე

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს ედესი ჯგუფის (ს/კ: 203868635) გაფორმებული აქვს შპს შარავანდთან (ს/კ:208190125) იჯარის ხელშეკრულება საერთო ფართი: 1150 კვ.მ.

თანხმობას ვაძლევთ შპს შარავანდს (ს/კ:208190125) განახორციელოს დაგეგმილი სამუშაოები მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი:01.19.16.003.395, რადგან განსახორციელებელი სამუშაოები არ ეხება ჩვენ სარგებლობაში არსებულ ფართს.

დირექტორი: /თამაზ შარიქაძე/

28.10.2019

ტელ: +995 32 2 24 05 05
E-mail dekori@dekori.ge

მინდობილობა #45

წინამდებარე მინდობილობით, მე, თამაზ შარიქაძე (პირ ნომერი: 01019007389) როგორც *შპს „შარავანდი"-ს* (ს/კ:208190125) დირექტორი და დამფუძნებელი ვენდობი:

შპს „შარავანდი"-ს თანამშრომელს ლადო ჭანტურიას (დაბადებული 10.05.1984 წელს, თბილისში, მის: ქ.თბილისი, მერი დავითაშვილის 27, პირადი ნომერი:01024032026)

ზემოაღნიშნული რწმუნების განსახორციელებლად მინდობილი პირი, უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მინდობილობის გამცემის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი ან/და შესაგებელი სასამართლოებში და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, ჩაიბაროს საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და დადგენილებები, გააკეთოს ამონაწერები მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მისცეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარმოადგინოს თავიანთი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, ნაწილობრივ ან მთლიანად თქვას უარი სარჩელზე,გამოითხოვოს იგი, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლოს (ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს) ნებისმიერი აქტი , წარადგინონ სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, წარადგინონ სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად, ყველა სახის გარიგებაში, მოაწეროს ხელი ფირმის სახელით, გააფორმოს ხელშეკრულებები, გაასხვისოს ·ან შეიძინოს ფირმის ქონება, აკონტროლოს ბანკის ანგარიშები, გადაუფორმოს ან გადმოიფორმოს ავტომობილი და ყველა სახის ქონება ფირმის სახელით, განაბაჟოს ტვირთი ,აიღოს სახელმწიფო სანიშნე ნომერი,იყიდოს ან გაყიდოს ავტომობილი, განაბაჟოს ავტომობილი,აიღოს ან შეცვალოს ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობა(პასპორტი) გადაიხადოს თანხა *შპს „შარავანდი"-ს* სახელით. იყოს *შპს „შარავანდი"-ს* წარმომადგენელი ყველა კომერციულ ორგანიზაციაში. შეასრულოს ყველა სახის ოპერაცია, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით და კონსტიტუციით. იყოს *შპს „შარავანდი"-ს* წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში, საჯარო რეესტრში,იუსტიციის სახლში და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში. გაასხვისოს ან შეიძინოს საკონტროლო სალარო აპარატი.

არავინ არ შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს მინდობილი პირის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ ამ მინდობილობაში მინდობილი პირის უფლებამოსილებანი ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობის გამცემის ინტერესების დასაცავად იმ საკითხებში, რაც მითითებულია მინდობილობის პირველ ნაწილში.

დირექტორი:
თამაზ შარიქაძე _____
გაცემულია: 05.09.2019

ძალაშია: 31.12.2019

Ltd Polimer Paki
შპს პოლიმერ პაკი

ქ. თბილისი

შპს პოლიმერ პაკი (ს/კ: 405233037)

დირექტორი თამაზ შარიქაძე

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს პოლიმერ პაკის (ს/კ: 405233037)გაფორმებული აქვს შპს შარავანდთან (ს/კ:208190125) იჯარის ხელშეკრულება საერთო ფართი: 250 კვ.მ.

თანხმობას ვაძლევთ შპს შარავანდს (ს/კ:208190125) განახორციელოს დაგეგმილი სამუშაოები მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი:01.19.16.003.395, რადგან განსახორციელებელი სამუშაოები არ ეხება ჩვენ სარგებლობაში არსებულ ფართს.

დირექტორი: თ. შარიქაძე /თამაზ შარიქაძე/

28.10.2019

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
07.02.2018	07.02.2018

განხილვის საგანი :	ვალდებულების შესრულების დადასტურება ან/და შეზღუდვის მოხსნა
დაინტერესებული პირი :	შპს შარავანდი 208190125
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1567564
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1567564

დადასტურდეს 2017 წლის 12 სექტემბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-372-1-21439 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირებით) და 2017 წლის 27 სექტემბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-372-1-21439 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის: „შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ შესრულება, კახეთის გზატკეცილი, N108-ს მიმდებარედ არსებულ 579 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.19.16.003.068), მესაკუთრის მიერ შესასრულებელი რჩება 2017 წლის 27 სექტემბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-372-1-21439 ხელშეკრულების პირობა - ,,სიმაღლის ნიშნული არ უნდა აღემატებოდეს ზღვის დონიდან 524 მეტრს; თუ საპროექტო ობიექტის მაქსიმალური სიმაღლის ნიშნული აღემატება დადგენილ ზღვარს, პროექტი შეთანხმებულ უნდა იქნებს შპს ,,ტავ ურბან საქართველოსთან''.
საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-73 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდება (დებულება)“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განმსაზღვრელი წესი“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

პირობებით გამოცხადებული აუქციონის

ხელშეკრულება

№-372-1-21439

„27" „09" „2017"

(რიცხვი, თვე, წელი)

ქ. თბილისი

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა *შპს შარავანდი-სთან (ს/კ: 208190125)*

(აუქციონში გამარჯვებულის) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/ იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის" მოთხოვნების შესაბამისად

მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.19.16.003.068) ფართობით 579 კვ.მ

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, ქონების დასახელება, მონაცემები საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, ფართობი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

მდებარე - **გზატკეცილი კახეთი, #108, მიმდებარედ**

(ქონების მისამართი)

ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური: *30 400 (ოცდაათი ათას ოთხასი)* ლარი.

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომი პრივატიზების მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ ჩატარებულ **N 372 აუქციონზე N1 ლოტზე** მის მიერ

შემოთავაზებული ფასის: *31 312 (ოცდათერთმეტი ათას სამას თორმეტი) ლარი*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – აუქციონში გამარჯვებული) და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ საკუთრებაში გადაეცემა

მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.19.16.003.068) ფართობით 579 კვ.მ;

სამრეწველო ზონა (ს-2); სიმაღლის ნიშნული არ უნდა აღემატებოდეს ზღვის დონიდან 524 მეტრს; თუ საპროექტო ობიექტის მაქსიმალური სიმაღლის ნიშნული აღებატემა დადგენილ ზღვარს, პროექტი შეთანხმებულ უნდა იქნეს შპს ""ტავ ურბან საქართველოსთან"

(შემდგომში– ქონება)

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან მათ შორის ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

(აუქციონის პირობები:)

ა) აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასური: *31 312 (ოცდათერთმეტი ათას სამას თორმეტი) ლარი*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან **15 (კალენდარული) დღის** ვადაში

(აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ვადა)

აუქციონში გამარჯვებულის პირად გვერდზე ასახულ ინვოისში მითითებულ ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო ანგარიშზე .

გ) შეზღუდვა: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

სხვა პირობები და ვალდებულებები:

1. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე, აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში, ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
2. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათ შესრულებაზე წარუდგინოს ინფორმაცია აუქციონატორს.

3. აუქციონში გამარჯვებულს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების და დასტურებამდე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გადაცემული ქონება განკარგოს, გადასცეს სხვას სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
4. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ოქმითა და წინამდებარე ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.
5. შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს აუქციონში გამარჯვებულის უფლებამონაცვლეს.
6. ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.
7. ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით ელექტრონული აუქციონის პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:
ა)ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელი თანხის 0.1% - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ)საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ)აუქციონში გამარჯვებულის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველდარღვევაზე - ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%.

8. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად. აუქციონში გამარჯვებულს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, არ უბრუნდება შეტანილი "ბე" ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება;
9. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის, მომსახურების საფასურის და განვადების საფასურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო, წილებისა და აქციების შემთხვევაში - შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა და საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.
10. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს აუქციონატორი.
11. აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე" ჩაითვლება ანგარიშწორებისას.
12. ელექტრონულ აუქციონშიგამარჯვებულს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

13. იმ შემთხვევაში თუკი ოქმითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულია შეზღუდვები, აღნიშნული განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა.
14. პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით.
15. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
16. პრივატიზებულქონებასთანდაკავშირებულისადავოსაკითხისსასარჩელოხანდაზმულობისვადა ა 3 წელი.
17. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი რჩება გამყიდველს, ხოლო ერთი გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.
18. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს, და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.
19. ხელშეკრულებას, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

1. ამონაწერი საჯარო და/ან სამეწარმეო რეესტრიდან;
2. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული იურიდიული პირია, იურიდიული პირის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;
3. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული მოქმედებს წარმომადგენილის მეშვეობით წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

აუქციონატორი:

კარლო ლაფერაძე

(ხელმოწერა)

აუქციონში გამარჯვებული პირი:

შპს „შარავანდი“

წარმომადგენელი:

(ხელმოწერა)